



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 55  
21/08/2019

55-09-4-201908211717



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის №53 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის №53 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ ცვლილების შეტანის“ თაობაზე.

- 1. განკარგულებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე


საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადება							
N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის სავარაუდო ღირებულება	რეგ. ფონდის დაფინანსება	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სავარაუდო ღირებულება
1	კახეთი	თელავი	სოფელ წინანდალში სასტუმრო "პარკ ჰოტელთან" მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზა	101 707	95%	2 400

**შენიშვნა:** საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო